ბრძანება:**ბ34. 34240382**

თარიღი:**07/02/2024**

"მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 თებერვლის #ბ34.34220537 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეტანილ იქნას ცვლილება, "მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 თებერვლის #ბ34.34220537 ბრძანებაში. კერძოდ:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის "ბ.ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
"ბ.ი)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ქეთინო ლიპარტელიანი - უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისთვის";

ბ)ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ბ.ლ" ქვეპუნქტი:
ბ.ლ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მე-IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტი, მევლუდ ჩხაიძე".
2.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი